



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



KfW



აჭარის წყლის  
ალიანსი

## აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი N33  
აპრილი, 2023

### პერსონალის გადამზადება ახალი სისტემების მდგრადი ოპერირებისა და შენარჩუნებისთვის

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის მიზანია აჭარის მუნიციპალიტეტებში შეიქმნას ევროსტანდარტების შესაბამისი თანამედროვე მუნიციპალური საწარმოები. წყალმომარაგებისა და წყალარინების მუნიციპალური საწარმოები უზრუნველყოფენ დაბებში წყლისა და წყალარინების სისტემების მოვლა-პატრონობას და მენეჯმენტს. სოფლებში, სოფლის მომხმარებელთა ჯგუფები იმუშავენ კომუნალური ინფრასტრუქტურის მენეჯმენტის მიმართულებით, თუმცა მათ ტექნიკურ დახმარებას ასევე გაუწევს მუნიციპალური საწარმოები. სს „აჭარის წყლის ალიანსი“ მჭიდროდ ითანამშრომლებს მუნიციპალურ საწარმოებთან და სოფლის მომხმარებელთა ჯგუფებთან.

2022 წელს დასრულდა მუნიციპალური კომუნალური საწარმოების და სოფლის მომხმარებელთა ჯგუფების შექმნა, გამჭვირვალე წესით დაკომპლექტდა პერსონალი. ახლა აქცენტი კეთდება კომუნალური კომპანიების თანამშრომლების თეორიულ და პრაქტიკულ გადამზადებაზე, რათა გაძლიერდეს მათი შესაძლებლობები.

თეორიული ტრენინგის ფარგლებში, ჩატარდა გაცნობითი ტრენინგი წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების ექსპლუატაციისა და მოვლის, ასევე, შრომის ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების წესებისა და მოთხოვნების შესახებ.

პრაქტიკული სწავლების მიზნით, სს „აჭარის წყლის ალიანსის“ და შპს „ბათუმის წყალს“ შორის, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელშეკრულების ფარგლებში, აჭარის მუნიციპალიტეტების კომუნალური საწარმოს თანამშრომლები სპეცტექნიკის მეშვეობით წყალარინებისა და წყალმომარაგების ქსელებზე გადაუდებელ და ყოველდღიურ სამუშაოებს ბათუმის ტერიტორიაზე, შპს „ბათუმის წყალს“ თანამშრომლებთან ერთად ახორციელებენ.

მიღებული გამოცდილება მუნიციპალური საწარმოს თანამშრომლებს დაეხმარებათ მომავალში სარეაბილიტაციო სამუშაოების და სისტემების მენეჯმენტის დროს. სპეცტექნიკის ოპერირების სწავლება მომდევნო 3 თვის განმავლობაში გაგრძელდება.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის დასრულების შემდეგ, წყალმომარაგებისა და წყალარინების ახალი სისტემებით აჭარაში 39 სოფელი და მუნიციპალიტეტების დაბები ისარგებლებენ.



#### ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ. პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს. პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუნმენდავი ჩამდინარე წყლების ჩამვებით.

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.



FICHTNER



ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს „აჭარის წყლის ალიანსი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო  
+995 422 27 86 86  
info@awa.ge  
www.awa.ge





Funded by  
the European Union



KfW



აჭარის წყლის  
ალიანსი

## AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

### NEWSLETTER N33

APRIL, 2023

### Adequately Trained Staff for Sustainable Operation and Maintenance of New Systems

The fundamental objective of the Ajara Rural Water Supply and Wastewater Program is the establishment of modern municipal utilities complying with European Standards. The municipal utilities will manage, operate, and maintain the water and wastewater systems in the semi-urban centers. In the rural villages Village User Groups will operate the systems, however being assisted by the municipal water utilities for maintenance activities. The Ajara Water Alliance is assisting the municipal utilities and the Village User Groups very closely.

Before the end of 2022, the establishment of the Municipal Utilities and Village User Groups was completed, and staff has been recruited in a transparent manner and contracted. Now, emphasis is laid on theoretical and practical training of the employees of the utilities to strengthen their capacities for the jobs.

As part of the theoretical training, comprehensive introductory training workshops were held on the operation and maintenance of water supply and wastewater systems, Occupational Health and Safety rules and requirements.

For the purpose of practical training, a memorandum of cooperation was signed between JSC "Ajara Water Alliance" and LLC "Batumis Tskali". Within the framework of the agreement, the officers responsible for the Operation and Maintenance Equipment in the municipal utilities in Khulo, Shuakhevi, Keda, Khelvachauri and Kobuleti will continue their training to carry out daily works and emergencies in the water supply and wastewater facilities and networks in the territory of Batumi together with the employees of "Batumi Water" LLC.

The experience gained is needed for the new staff to fulfill their responsibilities in the municipal utilities for the operation and maintenance of the new facilities created in the framework of the Program. The on-the-job training is foreseen for 3 months. After the completion of the training, the officers will work in the Program region using their skills and the equipment for operation and maintenance of water supply and wastewater systems.

After the completion of the water supply and wastewater treatment program for the semi-urban areas and villages of Ajara, 39 villages and semi-urban areas of the municipalities in Ajara will benefit from the new water supply and wastewater systems.



#### GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union.

The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara.

"Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance".

The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.

The content of the Programme "Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.



FICHTNER



IRC  
Supporting water sanitation  
and hygiene services for life



This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia  
+995 422 27 86 86  
info@awa.ge  
www.awa.ge